შ.პ.ს. „კოდორი“ **KODORI** LTD "KODORI"

ქ. თბილისი
№02/0122

25 იანვარი 2022წ.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
მინისტრის მოადგილეს,
ქალბატონ ნინო თანდილაშვილს

ქალბატონო ნინო,

გაცნობებთ, რომ შპს „კოდორი“ გეგმავს ქ. თბილისში, ლილოს ტერიტორიაზე არსებული 35 კვ ძაბვის საჰაერო ელექტროგადამცემი ხაზის - „სამგორი 1“-ს (ს/კ 81.00.38) და „სამგორი 2“-ს (ს/კ 01.01.430) რეკონსტრუქციას, კერძოდ ეგხ-ის საჰაერო მონაკვეთის ნაწილის ჩანაცვლებას მიწისქვეშა საკაბელო ხაზით. ტერიტორია, სადაც განთავსებულია ელექტროგადამცემი ხაზი, კერძოდ კი „სამგორი 1“-ს და „სამგორი 2-ს“ საყრდენები და ელექტროგადამცემი სადენები, წარმოადგენს სს „თელასის“ საკუთრებას და გადის სს „ორბელი-ტრანსის“ კერძო საკუთრებაზე. აღნიშნული ფაქტი ხელს უშლის მოცემულ მიწის ნაკვეთებზე ინფრასტრუქტურის განვითარებას, შესაბამისად, სს „თელასთან“ შეთანხმებისა და სს „ორბელი-ტრანსთან“ გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე შპს „კოდორი“ პროექტით განსაზღვრულ ტერიტორიაზე შეასრულებს საჰაერო გადამცემი ხაზის მონაკვეთის მიწისქვეშა საკაბელო ხაზით ჩანაცვლების სამუშაოებსა და არსებული საყრდენების დემონტაჟს.

ვინაიდან, კომპანიის დაგეგმილი საქმიანობა წარმოადგენს საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი''-ს II დანართის მე-3 პუნქტის, 3.4 ქვეპუნქტით გათვალისწინებულ საქმიანობას და აღნიშნულ საქმიანობაზე, სამინისტრო, ამავე კოდექსის მე-7 მუხლით დადგენილი სკრინინგის პროცედურის გავლის საფუძველზე იღებს გადაწყვეტილებას გზშ-ს საჭიროების შესახებ, საქართველოს კანონის „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის" მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, კილოვოლტი ან მეტი ძაბვის მიწისზედა ან/და მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის გაყვანასთან დაკავშირებით მომზადებული იქნა სკრინინგის ანგარიში.
გთხოვთ, განიხილოთ თანდართული დოკუმენტი და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.
დანართი - სკრინინგის ანგარიშის ელ. ვერსია shape ფაილებთან ერთად.

პატივისცემით,

შპს „კოდორი“-ს დირექტორი
568 900 606

გ. კვარაცხელია

№1049 26 01 2022 1/2031